# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N29/კ

ქ. მცხეთა 22 აპრილი 2014 წელი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში" შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, N1196 კონკურსში გამარჯვებული ი.მ „ვასილ რუბაშვილის" სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საშუალებით დებულ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – "ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვში ამბულატორიის შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. (CPV71200000)

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათას ორასი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ აბესაძე.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.#7.

5.2 დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2014 წლის 29 აპრილის ჩათვლით.

## 6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისია.

7.3 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულიშემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივადმიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით.

**შემსყიდველი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
ს/კოდი: 236094196

სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
მოადგილე

გ. ატაშვილი

**მიმწოდებელი**

ი.მ „ვასილ რუბაშვილი"

მის: ქ. მცხეთა, სოფ. ძალისი
ს/კოდი: 31001001237

სს „საქართველოს ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: BAGAGE22
GE10BG0000 0003 8919 4700

ი.მ „ვასილ რუბაშვილი"

599167823

ვ. რუბაშვილი